„არის რაღაც ძალზე არასწორი ჩვენი
დღევანდელი ცხოვრების წესში“

ტონი ჯატი

ბრიტანეთის ერთ-ერთი წამყვანი ისტორიკოსი და მოაზროვნე ტონი ჯატი წიგნში „უკეთურება ეუფლება ქვეყნიერებას“ გვთავაზობს საკუთარ განმარტებას — რატომ არის ჩვენი აწმყო ასე სახიფათო და არეულ-დარეული.

2008 წლის ეკონომიკურმა კრიზისმა ცხადყო, რომ ფაქტიურად აღარ არსებობს სოციალური კონტრაქტი, რომელი განსაზღვრავდა ომის შემდგომ ცხოვრებას ევროპასა და ამერიკაში, ამავე დროს ქმნიდა უსაფრთხოების, სტაბილურობის და სამართლიანობის უმთავრეს გარანტიას. უფრო მეტიც, ეს თემა საზოგადოებრივი ინტერესის საგანსაც კი აღარ წარმოადგენს.

ტონი ჯატი უარყოფს უკიდურესი მემარჯვენეობის დესტრუქციულ ინდივიდუალიზმსაც და წარსულის გაკოტრებულ სოციალიზმსაც. სამომავლო გზების საძიებლად კი გვთავაზობს გადავხედოთ არც თუ ისე შორეულ წარსულს და გავიხსენოთ, როგორი იყო ქმედითი სოციალური დემოკრატია, სადაც სამართლიანობა ეფექტურობაზე უფრო მნიშვნელოვნად იყო მიჩნეული.

წიგნის ავტორი თვლის, რომ სახელმწიფოს შეუძლია საკმაოდ დიდი როლი შეასრულოს ჩვენს ცხოვრებაში ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნას ჩვენს თავისუფლებას. ტონი ჯატი მიიჩნევს, რომ საბაზრო ეკონომიკის და კერძო სექტორის ბრმა რწმენამ საგრძნობი ზიანი მოიტანა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში.

„უკეთურება ეუფლება ქვეყნიერებას“ სვამს ჩვენი ქვეყნისათვის (კომუნისტური წარსული რომ ჩამოიტოვა უკან) უმნიშვნელოვანეს არაერთ კითხვას: როგორი უნდა იყოს მომავალი და რა არის კარგი ქვეყნისათვის ან მისაღები საზოგადოებისათვის?

www.facebook.com/Radarami

www.radarami.org

info@radarami.org

ტონი ჯატი

უკეთურება ეუფლება ქვეყნიერებას

ტონი ჯატი

უკეთურება ეუფლება ქვეყნიერებას